



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 91

ქ. გარდაბანი

29/07/2022

91-06-4-202207291658



**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური
შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N124 განკარგულებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2022 წლის 19 ივლისის N19-19222009 მოხსენებითი ბარათის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

ცნობად მიიღო:

მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის ცვლილება. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N124 განკარგულების მეოთხე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის პერსონალური შემადგენლობა:

1. ოთარი გავაშელიშვილი
2. ფლორა ასკაროვა
3. შახადატ მეხრაღიევი
4. თორნიკე ქავთარაძე
5. ანი მანჩხაშვილი
6. რასიმი ისაევი
7. მეითხან მეითხანოვი

8. ხვიჩა მესხიშვილი“

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

